პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976 ოთხშაბათი 10 მარტი № 57 (16487) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ურილოგის დელეგატი საწარმოში დაბრუნდა

ვუშინ თბილისის ი. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა გულთბილი შეხვედრა მოუწყო საწარმოს ნოვატორ ხარატს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სკკპ XXV ყრილობის დელეგატს გივი გაჩეჩილაძეს.

დელეგატმა თავის თანამოსაქმეებს გაუზიარა სკკპ XXV ყრილობაზე მიღებული შთაბეჭდილებები, გააცნო ის დიდი ენთუზიაზმი და შემართება, რომელიც ყრილობაზე სუფევდა. გ. გაჩეჩილაძემ თავის საუბარში მთავარი ყურადღება დაუთმო ახალ ხუთწლედში მშობლიური საწარმოს წინაშე მდგომ ამოცანებს და კოლეგებს მოუწოდა დამკვრელურად ვადამდე შესრულებისათვის.

სურათზე: სკკპ XXV ყრილობის დელეგატი გ. გაჩეჩილაძე (მარცხნივ წინა პლანზე) ესაუბრება საწარმოს მუშებს.

ვლ. ბინეზაშვილის ფოტო.

ლენინის დროშით — კომუნიზმისაკენ

1976 წლის 24 თებერვალს — 5 მარტს მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა.

ყრილობამ დამაჯერებლად ცხადყო საბჭოთა ხალხის რევოლუციურ-შემოქმედებითი გამარჯვებების გიგანტური გაქანება და სიღრმე, რაც ოქტომბრის საქმის გაგრძელება, დიდი ლენინის იდეების ხორცშესხმაა.

ყრილობამ დაადასტურა, რომ ჩვენი პარტია განუხრელად მიდის ლენინური კურსით. იგი ღირსეულად ასრულებს მუშათა კლასის, ყველა მშრომელის, მთელი ხალხის პოლიტიკური დელეგატის როლს. ხალხს ღრმად ესმის პარტიის პოლიტიკა და სულითა და გულით მხარს უჭერს მას. გაიზარდა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერება. კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ძმური მეგობრობა, მათი შეკავშირება კომუნისტური პარტიის გარშემო.

ყრილობას დაეწერნენ ასზე მეტი კომუნისტური და მუშათა პარტიის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და მოძრაობის წარმომადგენლები. საბჭოთა კომუნისტების უმაღლესი დონის ფორუმის მუშაობაში მათმა მონაწილეობამ ცხადყო, რომ კიდევ უფრო ფართოვდება და მტკიცდება ინტერნაციონალიზმის ცხოველმყოფელი ურთიერთობა, რომელიც ჩვენს პარტიას აკავშირებს ხალხთა მშვიდობისა და თანასწორუფლებისათვის, სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის მსოფლიო ფრონტის მონაწილეთა ყველა რაზმთან.

XXV ყრილობამ მოისმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება შეიცავს ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების შედეგებს, მსოფლიოს თანამედროვე მდგომარეობის, პარტიის პოლიტიკური, ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ყოვლისმომცველი ანალიზს. მასში წამოყენებულია სსრ კავშირში კომუნიზმის შემდგომი მშენებლობის დიადი პროგრამა, განსაზღვრულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარი მიმართულებანი. ეს არის უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც შემოქმედებითად ავითარებს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, აიარაღებს კომუნისტებს, ყველა მშრომელს საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივების ღრმა გაგებით.

ყრილობის დელეგატებმა, მთელმა პარტიამ და ხალხმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება დიდი აღფრთოვანებით აღიქვეს. მათი კოლექტიური ნება გამოხატა ყრილობის რეზოლუციამ:

„1. მთლიანად და სავსებით იქნას მოწონებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა.

2. მოწონებულ იქნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და ამ წინადადება მიეცეს ყველა პარტიულ ორგანიზაციას იხელმძღვანელონ თავიანთ მუშაობაში დებულებებითა და ამოცანებით, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში“.

ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი“. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა.

ყრილობამ გამოაქვეყნა განცხადება „თავისუფლება იმპერიალიზმისა და რეაქციის ტუსაღებს!“.

ყრილობამ ერთსულოვნად აირჩია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები.

დიდი საბჭოთა ხალხი უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით შეეგება შშობლიური პარტიის ყრილობას. ჩვენი უკიდეგანო სამშობლოს ყველა კუთხეში გამართულ მიტინგებსა და კრებებზე, მისასალმებელ წერილებში, ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე მოპოვებული მიღწევებით საბჭოთა ადამიანები ახალი ძალით გამოხატავენ თავიანთ პატრიოტულ გრძნობებს, სიყვარულსა და უსაზღვრო ნდობას პარტიისადმი, მთლიანად იწონებენ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის უდრეკი ლენინელის, ჩვენი დროის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის, მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაყოფიერ მოღვაწეობას.

სკკპ XXV ყრილობიდან განვლილ ხუთ წელიწადში საბჭოთა კავშირმა ახალ მიჯნებს მიაღწია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. მეცხრე ხუთწლედის საერთო შედეგების შეფასებისას მთავარი ის არის, რომ საბჭოთა ხალხის თავდადებულმა შრომამ, პარტიის წარმმართველმა როლმა უზრუნველყო სახალხო მეურნეობის მყარი ზრდა, დასახული სოციალურ-ეკონომიური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა.

სამრეწველო პროდუქციის, კაპიტალურ დაბანდებათა აბსოლუტური მატების მიხედვით, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებებისათვის სახელმწიფო ასიგნებები მეცხრე ხუთწლედი საუკეთესოა ჩვენს ისტორიაში.

„ჩვენი ეკონომიური განვითარების მიმართულება და ხასიათი ხასებრით შეეხამებოდა სკკპ XXIV ყრილობის პრინციპულ დებულებებსა და დირექტივებს, — „განაცხადა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მეცხრე ხუთწლედში ახალი დიდი ნაბიჯი გადაიდგა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების, ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის გზაზე. ასეთია პარტიის ეკონომიური საქმიანობის პოლიტიკური შედეგები XXIV და XXV ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში. ასეთია საბჭოთა ადამიანების გმირული შრომის მთავარი შედეგი“.

სკკპ XXV ყრილობამ დააკონკრეტა და განავითარა მომავალი ხუთწლეულისა და უფრო ხანგრძლივი პერსპექტივისათვის განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში პარტიის ეკონომიური პოლიტიკის პრინციპული დებულებანი. მთავარი ამოცანების, სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით მეცხრე და მეათე ხუთწლიანი გეგმები ერთ მთლიანს წარმოადგენენ. საქმე ეხება პარტიის ეკონომიური პოლიტიკის გრძელვადიან ორიენტაციას, რომელიც, ვ. ი. ლენინის გამოთქმას თუ გამოვიყენებთ, მიგვანიშნა „ჩვენი მუშაობის, ჩვენი პოლიტიკის, ჩვენი ტაქტიკის, ჩვენი სტრატეგიის საერთო გეგმად...“

პარტიის უმაღლესი მიზანია ხალხის კეთილდღეობის გაუხუნარი გაუმჯობესება. ამ მიზნის მიღწევის ეკონომიური სტრატეგია ითვალისწინებს საზოგადოებრივი წარმოების დინამიკურ და პროპორციულ განვითარებას, მისი ეფექტიანობის ამაღლებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, მუშაობის ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესებას სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში. ყოველივე ეს ასახულია მეათე ხუთწლედის მთავარ ამოცანაში. ამავე დროს მიმდინარეობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითადი დებულების შემუშავება 1990 წლამდე. როგორც ვიცით, 1976-1990 წლებში ჩვენს ქვეყანას ექნება დაახლოებით ორჯერ მეტი მატერიალური და ფინანსური რესურსები, ვიდრე განვლილი თხუთმეტი წლის მანძილზე. ამით იქმნება ახალი შესაძლებლობანი პარტიის პროგრამის, უკანასკნელი ყრილობების მიერ დასახული ძირითადი სოციალურ-ეკონომიური ამოცანების დაჩქარებულად გადაწყვეტად. ეს შეეხება უწინარეს ყოვლისა საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების შემდგომ გაუმჯობესებას, მათი კულტურის დონის ამაღლებას, ყოველივე იმას, რაც ხელს უწყობს ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას, პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას, ცხოვრების სოციალისტური წესის სრულყოფას.

მეათე ხუთწლედში წამოყენებულია ფართო სოციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის მომატებას 16-18 პროცენტით, საზოგადოებრივი მეურნეობიდან კოლმეურნეთა შემოსავლის მატებას 24-27 პროცენტით, მისაცემლებისა და შეღავათების გადიდებას მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე 28-30 პროცენტით. აშენდება 545-550 მილიონი კვადრატული მეტრი ახალი ბინები. ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლებისა და კულტურის შემდგომი განვითარების მთელი რიგი ღონისძიებანი.

მეათე ხუთწლედისათვის და უფრო ხანგრძლივი პერსპექტივით პარტიის ეკონომიური სტრატეგიის ღერძია. ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განუხრელი ზრდა, საწარმოო ფონდების გაფართოება და მირეული განახლება, მძიმე მრეწველობის — ჩვენი ეკონომიკის საძირკვლის მყარი, შეწონასწორებული ზრდის უზრუნველყოფა. უმჯობესდება საწარმოო ძალების განლაგება, გათვალისწინებულია ციმბირის, ჩრდილოეთის, შუა აზიის, შორეული აღმოსავლეთის რაიონების შემდგომი ათვისება.

ქვეყნის წინაშე მდგომი მრავალმხრივი ეკონომიური და ბოციალური ამოცანების გადაწყვეტის წარმატებას განსაზღვრავს შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლება. ეფექტიანობისათვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობა მთელი ჩვენი ეკონომიური სტრატეგიის დიდწინაშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ახალი ხუთწლედი ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედია. ამასთან პარტია არ ივიწყებს რაოდენობრივ ზრდასაც. დაგეგმილია 1980 წელს ეროვნული შემოსავალი გაიზარდოს 457,5 მილიარდ მანეთამდე, ესე იგი გადიდდეს 96 მილიარდით. სამრეწველო პროდუქცია გაიზრდება თითქმის 197 მილიარდით და გადააჭარბებს 720 მილიარდ მანეთს.

შრომის ნაყოფიერების გადიდებამ უნდა უზრუნველყოს სამრეწველო პროდუქციის მატების დაახლოებით 90 პროცენტი, პროდუქციის მთელი მატება სოფლის მეურნეობასა და მშენებლობაში.

ამის შესაბამისად ყრილობაზე აღინიშნა დაგეგმვის, სამეურნეო საქმიანობის სფეროში არსებული ნაკლოვანებანი, გადაუჭრელი პრობლემები. საწარმოო სიმძლავრეთა ნაწილი არ ამოქმედებულა ან არ ათვისებულა ვადაზე. ზოგიერთ დარგში ვიწრო ადგილად რჩება წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვა, განსაკუთრებით შეუწყნარებელია საშუშაო დროის დაკარგვა, მოცდენები, არარეგამულობა მუშაობაში, სუსტი შრომითი და ტექნოლოგიური დისციპლინა, კადრების ხაწარმოებში. საჭიროა უფრო ყაირათიანად გამოვიყენოთ მატერიალური და ფინანსური რესურსები. ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მომგირნეობა, ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი — სამშობლოს დოვლათისა, და ძლიერებისათვის, ხალხის კეთილდღეობისა და აყვავებისათვის.

ახალ-ხუთწლედში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სახალხო მეურნეობაში შეადგენს დაახლოებით 630 მილიარდ მანეთს, ესე იგი გაიზრდება 24-26 პროცენტით. ამასთან მატერიალური და ფინანსური რესურსები უწინარეს ყოვლისა მოხმარდება მოქმედ საწარმოთა ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას.

მეათე ხუთწლიანი გეგმა, ისევე როგორც ყველა ხუთწლიანი გეგმა, იქნება ყველა იმ რესპუბლიკის, ერისა და ეროვნების განვითარების პროგრამა, რომლებიც ქმნიან ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს. მთელი ქვეყნის ფარგლებში შექმნილი ეკონომიანი სამეურნეო ორგანიზმი სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის მტკიცე მატერიალური საფუძველია.

ყრილობამ განსაზღვრა თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკის განვითარების საკვანძო პრობლემები. მათ შორის პირველი რიგის ამოცანაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება. პარტია ხელმძღვანელობს იმით, რომ მხოლოდ სოციალიზმის პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა იძენს უტყუარ, ადამიანისა და საზოგადოების ინტერესების შესაბამის მიმართულებას. თავის მხრივ მხოლოდ მეცნიერებისა და ტექნიკის დაჩქარებული განვითარების საფუძველზე შეიძლება გადაწყდეს სოციალისტური რევოლუციის საბოლოო ამოცანები — კომუნისტური საზოგადოების აშენება.

ჩვენი სამშობლოს მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი განუხრელად იზრდება, მაგრამ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ როგორც ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებისათვის, ისე მეცნიერული იდეების პრაქტიკული დანერგვისათვის, ამასთან ამ ისტორიული მნიშვნელობის პროცესში უნდა ჩავაბათ საზოგადოებრივი წარმოების ყველა მოწინავე, სამეურნეო მექანიზმის ყველა რგოლი.

ხუთწლედში დასახულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ოვისებრივი გარდაქმნის ამოცანა. კაპიტალური დაბანდებანი ამ დარგში მიაღწევს 172 მილიარდ მანეთს, ანუ 41 მილიარდით მეტს, ვიდრე განვლილ ხუთწლედში. ეს თანხები უმთავრესად მოხმარდება ძირითად მიმართულებებს — სოფლის მეურნეობის მექანიზაციას, მელიორაციასა და ქიმიზაციას.

სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების კვალობაზე მეათე სიგრძე-სიგანით დგება ამოცანა — ავამაღლოთ მისი ეფექტიანობა, გავაუმჯობესოთ ყველა ხარისხობრივი მაჩვენებელი, რათა მატერიალური რესურსები გვაძლევდნენ მაქსიმალურ უკუგებას, რომ უკეთ გამოვიყენოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შინაგანი რეზერვები. კვლავ გაგრძელდება წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სამეურნეოთაშორისო კოოპერირებისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე. სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა პარტიას მიაჩნია უმნიშვნელოვანეს საერთო-სახელმწიფოებრივ, საერთო-სახალხო ამოცანად.

ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ყოველნაირად გავზარდოთ წარმოება და ავამაღლოთ სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხი, გავაუმჯობესოთ ვაჭრობა და მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება.

საკვანძო სამეურნეო პრობლემებს შორის სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება საგარეო ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას. ჩვენი ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს სოციალისტურ ეკონომიურ ინტეგრაციაში, რომელიც განამტკიცებს მოძმე ქვეყნების თანამეგობრობის ძლიერებასა და შეკავშირებას, აფართოებს განვითარებად ქვეყნებთან თანამშრომლობას, რაც ითლებს მათი ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნას პროგრესულ საწყისებზე. კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობა განამტკიცებს და აფართოებს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის მატერიალურ ბაზას.

ხელმძღვანელობდა რა ლენინის მითითებებით, რომ, როცა შემუშავებულია სწორი პოლიტიკა, სწორი ხაზი საქმის წარმატება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია ორგანიზაციაზე, ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო ეკონომიკის მართვის საკითხებს. უწინარეს ყოველისა უნდა უზრუნველეყოფა დაგეგმვის სერიოზული სრულყოფა, რაც გულისხმობს ძალებისა და რესურსების კონცენტრაციას დიდმნიშვნელოვანი საერთო-სახელმწიფოებრივი პროგრამების შესრულებისათვის, დარგობრივი და ტერიტორიული განვითარების, პერსპექტიული და მიმდინარე პრობლემების უფრო უნარიან შეხამებას, ეკონომიკის შეწონასწორების უზრუნველყოფას. სამმართველოს საქმიანობა მიზნად უნდა ისახავდეს დიდი საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევას. მეორე მიმართულებაა ეკონომიური სტიმულირებისა და ბერკეტების უფრო უნარიანი გამოყენება, იმ მაჩვენებლების სისტემის სრულყოფა, რომლებიც საფუძვლად უდევს სამინისტროების, გაერთიანებებისა და საწარმოების მუშაობის, უწინარეს ყოვლისა მისი ეფექტიანობისა და ხარისხის შეფასებას. დიდი მნიშვნელობა აქვს გავაუმჯობესოთ მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და მეთოდები დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც ახორციელებს სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს განვითარების მარქსისტულ-ლენინურ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ყოველდღიურად ზრუნავს თავისი რიგების იდეური შეიარაღებისათვის, მათი ორგანიზაციული ერთიანობის განმტკიცებისათვის, პარტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის. XXV ყრილობამ აღნიშნა პარტიის მნიშვნელოვანი ზრდა, მისი თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესება უკანასკნელ წლებში. მან ხაზი გაუსვა, რომ განვითარებული სოციალიზმის პირობებშიც, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია გახდა მთელი ხალხის პარტია, იგი სრულიადაც არ კარგავს თავის კლასობრივ ხასიათს, თავისი ბუნებით იყო და კვლავაც რჩება მუშათა კლასის პარტია.

ობიექტური ტენდენცია, რომელიც გამომდინარეობს სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი განვითარების მთელი მსვლელობიდან, ის არის, რომ ძლიერდება პარტიაში ახალი ძალების ნაკადი. მაგრამ იგი კი არ აჩქარებს რიცხობრივ ზრდას, არამედ თავის რიგებში იღებს მხოლოდ იმათ, ვინც სანქმით დაამტკიცა, რომ პარტიაში შედის არა რაიმე სარგებლობის მიღებისათვის, არამედ კომუნიზმის საკეთილდღეოდ თავდადებული მუშაობისათვის. ლენინის ანდერძის მიხედვით პარტიის წევრის წოდების ამაღლების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XXIV ყრილობის გადაწყვეტილებით მოწყობილმა პარტიული დოკუმენტების გამოცვლამ.

პარტიის ყველა რგოლის შეთანხმებული, აქტიური და მიზანმიმართული მუშაობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განუხრელად გამოვიყენებთ პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებსა და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებს, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს. XXV ყრილობამ შეაჯამა პარტიის აქტიური სჯმიანობა ამ მიმართულებით. შინა პარტიული დემოკრატიის თანამიმდევრული განვითარება, მომთხოვნელობის გადიდება პარტიის თვითეული წევრისადმი, ხაზგასმით აღნიშნა ყრილობამ,—ეს ლენინური პრინციპები განვლილი ეტაპი როდია, ეს დღესაც პარტიის საქმიანობის საფუძველია. პარტიული ხელმძღვანელობის წარმატების მნიშვნელოვანი პირობაა მუშაობის ლენინური სტილი — შემოქმედებითი სტილი, რომელისთვისაც უცხოა სუბიექტივიზმი და რომელსაც ახასიათებს ყველა საზოგადოებრივი პროცესისადმი მეცნიერული მიდგომა. იგი გულისხმობს დიდ მომთხოვნელობას საკუთარი თავისა და სხვებისადმი, გამორიცხავს თვითკმაყოფილებას, ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას. ამასთან დაკავშირებით ყრილობამ აღნიშნა, რომ პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კრიტიკასა და თვითკრიტიკას, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისა კონტროლსა და შემოწმებას.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ მძლავრი ბერკეტი, რომლის საშუალებითაც პარტია ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაზე, არის კადრების პოლიტიკა. თანამედროვე ხელმძღვანელმა ორგანულად უნდა შეახამოს პარტიულობა და ღრმა კომპეტენტურობა, დისციპლინიანობა, ინიციატივიანი და შემოქმედებითი მიდგომა საქმისადმი. ამასთან ხელმძღვანელმა ყოველ უპირველეს ზედ უნდა გაითვალისწინოს სოციალურ-პოლიტიკური, აღმზრდელობითი ასპექტებიც, იყოს გულისხმიერი ადამიანებისადმი, სამაგალითო მუშაობასა და ყოფაცხოვრებაში. პარტია კვლავაც. სათუთად, მზრუნველობით მოეკიდება კადრებს, ამასთან მათ მიმართ გამოიჩენს დიდ მომთხოვნელობასა და პრინციპულობას.

ჩვენი წყობილების ძალაა მასების შეგნება. და კომუნისტური შეგნების, კომუნიზმის შენებისათვის მზადყოფნა, ნებისყოფა და უნარი პარტიას თავის მუდმივ საზრუნავად მიაჩნია. ხელმძღვანელობს რა იმით, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი — ეს არის სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის შეუშავების ერთადერთი სამედო საფუძველი, პარტია უდიდეს ყურადღებას უთმობს რეალიზაციური თეორიის განვითარებას. სკკპ XXV ყრილობამ შეაჯამა XXIV ყრილობის შემდეგ პარტიის თეორიული საქმიანობის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში კვლევის შედეგები, განსაზღვრა მათი ყველაზე პერსპექტიული მიმართულებანი და პრობლემები.

მთლიანად იდეურ-აღმზრდელობით მუშაობის დარგში ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ, მაგრამ ხალხის შეგნებისა და ინფორმირების ზრდა გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს მას. ეს მოთხოვნები დაკავშირებულია იმასთანაც, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას შედეგად სოციალიზმის იდეების ფართო გავრცელებისათვის კეთილნაყოფიერ შესაძლებლობათა შექმნასთან ერთად ახლა უფრო აქტიური ხდება ორი სისტემის იდეური წინააღმდეგობა. ორი მსოფლმხედველობის ბრძოლაში, აღნიშნა სკკპ XXV ყრილობამ, დაუშვებელია ნეიტრალიზმი და კომპრომისები. აქ საჭიროა დიდი პოლიტიკური სიფხიზლე, აქტიური, ოპერატიული და დამაჯერებელი პროპაგანდისტული მუშაობა, იდეოლოგიური დივერსიების დროული მოგერიება.

გზა, რომლითაც ჩვენ მივაღწიეთ იდეოლოგიური საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას, — ეს არის კომპლექსურობა აღზრდის მთელი საქმის დაყენებაში, ესე იგი იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მჭიდრო ერთიანობის უზრუნველყოფა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის თავისებურებათა გათვალისწინებით. ყრილობამ საგანგებო ყურადღება დაუთმო კომუნისტების მშენებელი მოზარდი თაობის მორალურ-პოლიტიკურ წრთობას.

პოლიტიკური განათლების — მარქსიზმ-ლენინიზმის მასობრივი შესწავლის დარგში ახლა მთავარი ამოცანა ის არის, რომ მილიონობით მშრომელმა საფუძვლიანად აითვისოს სკკპ XXV ყრილობის მასალები და გადაწყვეტილებანი.

მასების პოლიტიკური აღზრდის წარმატების საზომია კონკრეტული საქმეები. კომუნისტური იდეურობა — ეს არის ცოდნის, მრწამსისა და პრაქტიკული მოქმედების შერწყმა. პოლიტიკური და შრომითი აღზრდის მჭიდრო შერწყმის თვალსაჩინო შედეგია, აღნიშნა ყრილობამ, — სოციალისტური შეჯიბრების ახალადგილი აღმავლობა, საჭიროა კვლავაც ყოველნაირად ვანვავითაროთ შეჯიბრება, მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის, ამ ამოცანის შესრულებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის მეხუთრი ეკონომიური განათლების სისტემას.

პრინციპული აქტიური პოზიციის შემუშავება, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულება, როცა სიტყვისა და საქმის ერთიანობა ქცევის ყოველდღიური ნორმა ხდება, — ასეთია XXV ყრილობის მიერ წამოყენებული ზნეობრივი აღზრდის ამოცანა.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ ლიტერატურამ და ხელოვნებამ თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა, როცა მხატვრულად ასახავდა კომუნიზმის მშენებელთა გმირულ ცხოვრებას, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმირობას, აშუქებდა მორალის, ზნეობრივი ძიების თემებს. პარტიული მიდგომა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებისადმი გულისხმობს მხატვრული ინტელიგენციისადმი გულისხმიერ დაფასებულებას, დახმარებას მის შემოქმედებით ძიებებში და პრინციპულობას. პარტია ილაშქრებს ამ საქმეში გაუბრალოებული მიდგომის წინააღმდეგ, ამასთან მხედველობაში აქვს, რომ ხალასი ნიჭი გვხვდება იშვიათად და ამიტომ იგი მზრუნველობით უნდა განვავითაროთ და წარვმართოთ.

სკკპ XXV ყრილობამ განიხილა საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის, განსაკუთრებით საბჭოების საქმიანობის განვითარების, სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოებრივობის და დემოკრატიის შემდგომი სრულყოფის, ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცების, მათ შორის სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის საკითხები. ყრილობამ მოიწონა პარტიის ხაზი, რომ კვლავაც გაგრძელდეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება და საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის გუშაგის, საყოველთაო მშვიდობის ბურჯის შეიარაღებული ძალების სრულყოფა. პარტიას საბჭოთა პოლიტიკური სისტემის გაუუყოფელ ნაწილად მიაჩნია პროფკავშირები, კომკავშირი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. იგი ზრუნავს იმისათვის, რომ მშრომელებმა სულ უფრო ფართო მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების ყველა საქმის მართვაში, ჩვენი სახელმწიფოს დემოკრატიული საფუძვლების შემდგომ განვითარებაში, პიროვნების ყოველმხრივი აყვავებისათვის პირობების შექმნაში.

ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო მსოფლიოს მდგომარეობასა და ჩვენი პარტიის საერთაშორისო საქმიანობას. ერთსულოვნად მოიწონა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაყოფიერი მუშაობა ამ დარგში, ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა დღეს უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე. მეოთხე ათწლეულია ჩვენი ხალხი მშვიდობიან პირობებში ცხოვრობს. არსებითად განმტკიცდა მსოფლიო სოციალიზმის პოზიციები, რომელიც ცხადყოფს ახალი საზოგადოებრივი წყობილების დაუშრეტელ შემოქმედებითს ძალებს, ძირეულ უპირატესობას კაპიტალიზმის წყობილებასთან შედარებით, რომელიც განიცდის თავისი საერთო კრიზისის გაღრმავებას. ეს კი ნიშნავს უმუშევრობისა და ინფლაციის ზრდას, ხალხის მასებისათვის ცხოვრების სიძნელეთა გაძვავებას, კაპიტალისტურ სამყაროში ძლიერდება მშრომელთა ბრძოლა თავიანთი უფლებებისათვის. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალის მხრივ ჩაგვრის წინააღმდეგ. გაიზარდა კომუნისტური პარტიების გავლენა. ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვებანი ახალ პირობებში უსახავენ ქვეყნებს, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს. სულ უფრო იზრდება რევოლუციურ-დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური მოძრაობის მასშტაბები.

ეყრდნობა რა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პლატფორმას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია წარმატებთან სამამაცობას ეწევა პარტიის XXIV ყრილობის მიერ წამოყენებული მშვიდობის პროგრამის შესრულებისათვის. ახლა დაძაბულობის შენელება წამყვანი ტენდენცია გახდა საერთაშორისო ურთიერთობაში.

XXV ყრილობამ განსაზღვრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი ამოცანები საერთაშორისო ასპარეზზე. რაც მშვიდობის პროგრამის ორგანული განგრძობა და განვითარებაა. ეს არის მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა. სწორედ მის განვითარებას გაითვალისწინებს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა სოციალიზმის მოძმე ქვეყნებთან, სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან თანამშრომლობით. რევოლუციური მოვალეობის ერთგული საბჭოთა კომუნისტები კვლავაც იბრძოლებენ მშვიდობისათვის, — რაც ყველა ხალხის უდიდესი კეთილდღეობაა, თანამედროვე კაცობრიობის პროგრესის დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი კვლავაც ერთგული იქნებიან ლენინური ტრადიციებისა და ქმედით სოლიდარობას გაუწევენ ჩვენი საერთო დიადი და კეთილშობილური მიზნებისათვის ბრძოლის მონაწილეებს. მუდამ იქნებიან პროლეტარული ინტერნაციონალიზმის — მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი მთავარი პრინცი

ფიქრები ყრილობის დარბაზიდან

საკავშირო შეჯიბრების დღიური

ჩვენი ცოდნა, ძიება, გამოცდილება — სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXV ყრილობის ექო

ერთსულოვანი ენთუზიაზმით, კომუნისტური სულისკვეთებით იყო გამსჭვალული სკკპ XXV ყრილობის მუშაობა. მისმა მრავალრიცხოვანმა მონაწილეებმა მთელი სიღრმით განიხილეს და ერთსულოვნად მოიწონეს ჩვენი პარტიის მოღვაწეობა განვლილ ხუთწლედში.

ყველგან, ყრილობის დარბაზში, საქმიანი შეხვედრებისა თუ დასვენების დროს ყრილობის დელეგატები ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას, სახავდნენ გზებს ახალ ხუთწლედში უკეთესი საქმიანობისათვის.

საქართველოს დელეგატებმა საქმიანი კონტაქტები დაამყარეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკის, სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებთან. ბევრმა მათგანმა კონკრეტული სოციალისტური ვალდებულებების ხელშეკრულებანი დადო მათთან და პირობა მისცა სამშობლოს, რომ უთუოდ შეასრულებენ ამ ვალდებულებათა ყოველ პუნქტს. **გაიშალა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: ხუთწლედს — ჩვენი მუშური გარანტია; ჩვენი ცოდნა, გამოცდილება — სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას.**

დღეს ვბეჭდავთ საქართველოს ხს რესპუბლიკიდან სკკპ XXV ყრილობაზე წარგზავნილ დელეგატთა საქმიანი შეხვედრების ანგარიშს, რომელიც მოამზადეს ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტებმა.

სვერდლოვსკი — თბილისი

პირადი გეგმა-ვალდებულება — ყველას!

მომავალ შეჯიბრებაზე მსჯელობენ სვერდლოვსკისა და საქართველოს მრეწველობის მუშაკები

სკკპ XXV ყრილობის მუშაობის დაწყების წინა დღეებში გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა სვერდლოვსკის ოლქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების გამოცდილების ამსახველი მასალები. ეს გამოცდილება, რომელიც მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა პირადი ანგარიშების გახსნას ემყარება, მოიწონა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მის შესახებ ილაპარაკეს სკკპ XXV ყრილობის დიდი ტრიბუნიდან.

სვერდლოვსკელთა ეს გამოცდილება საქართველოს მრეწველობის მშრომელთა უურადღების ცენტრშია, ამიტომ ხავსებით კანონზომიერი იყო ის ფაქტი, რომ სკკპ XXV ყრილობაზე წარგზავნილმა დელეგატებმა საქმიანი კონტაქტები დაამყარეს სვერდლოვსკის ოლქიდან ყრილობაზე ჩამოსულ მშრომელებთან.

გაზეთ „კომუნისტის“ ინიციატივით მოსკოვში მრგვალ მაგიდასთან ერთმანეთს შეხვდნენ ქართველი და სვერდლოვსკელი მშრომელები. სვერდლოვსკის ოლქის სამრეწველო ქალაქ კუშვინის პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **პ. ხერგეევი**, სვერდლოვსკის კომბინატ „ურალელექტრომედის“ უფროსი მდონბელი **ა. ლატუხოვი**, ქ. პერვოურალსკის ქარხანა „ნოვოტრუბნის“ პარტიული კომიტეტის მდივანი **ვ. ფიოდოროვი**, ნიჟნი-ტაგილის ურალვაგონების ქარხნის ხარატი, სოციალისტური შრომის გმირი **ა. დოდორა**, ჭიათურის სამთომადნო კომბინატის ახალი ითხვისის მაღაროთა სამმართველოს გვირაბგამყვანი, ლენინის ორდენოსანი **გ. ბაკრაძე**, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ გადამჭიმავი, სოციალისტური შრომის გმირი **გ. ჭეხაშვილი**, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელი **ტ. გეგეშიძე**.

ამ ადამიანებმა ერთად ერთ საკითხზე ილაპარაკეს: ეს საკითხი ყველა ჩვენ, ყველა ადამიანისთვის, ყველა ოჯახისთვის ძალიან ახლოს დგას. ეს ეხება ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებას, ჩვენ ოჯახურ ბიუჯეტს, ჩვენ ბინებს, ჩვენ ტანსაცმელს, ჩვენ ტრანსპორტს, ჩვენ ბავშვებს, ჩვენ ოჯახურ ბედნიერებას.

ეს საკითხი ასეთია: ჩვენ ბინებში, ოჯახებში, ტანსაცმელში, ტრანსპორტში, ბავშვებში, ოჯახურ ბედნიერებაში ბევრ ადგილას ჯერ ბევრი ნაკლოვანებაა. ეს ნაკლოვანებანი ბევრ ადამიანს ანაღვლებენ, ანაღვლებენ ოჯახებს, ანაღვლებენ ბავშვებს. ეს ნაკლოვანებანი ბევრ ადამიანს ანაღვლებენ, ანაღვლებენ ოჯახებს, ანაღვლებენ ბავშვებს. ეს ნაკლოვანებანი ბევრ ადამიანს ანაღვლებენ, ანაღვლებენ ოჯახებს, ანაღვლებენ ბავშვებს.

**

გაფცეთ „პრავდის“ ფურცლებზე

კვირას გაზეთმა გამოაქვეყნა „სსრ კავშირის საბალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებები“.

8 მარტის ნომრის მეთაურ წერილს „ლენინის დროშით — კომუნიზმისაკენ“ „კომუნისტის“ ფურცლებზე დღეს წაიკითხავთ, ხოლო 9 მარტის ნომრის მეთაურს „მშვიდობისა და სოციალიზმისათვის“ — ხვალ, 11 მარტს.

„თვითეულმა კომუნისტმა, თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, თვითეულმა პარტიულმა კომიტეტმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში“, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობის დახურვისას. მხურვალე მისწრაფებით რაც შეიძლება უკეთ მოეწყოს ადგილებზე ეს დიდი მუშაობა, განხორციელდეს ყველაფერი, რაც დასახა პარტიამ, დაბრუნდნენ დელეგატები თავიანთ ოლქებსა და რესპუბლიკებში. „პრავდის“ კორესპონდენტებმა მიმართეს ზოგიერთ მათგანს თხოვნით — ეამბნათ პირველი რიგის საქმეებსა და გეგმებზე. ეს მასალები დაბეჭდილია როგორც 8 მარტს, ისე 9 მარტის ნომერში. აი რას წერს სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, საქართველოს კომპარტიის ჭითოურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ვაშაძე:

„ადამიანებს საბრძოლო განწყობაგილეგა აქვთ. მიმდინარე წლის პირველი ორი თვის გეგმა ძალაქის მრეწველობამ 24 თებერვლისათვის შეასრულა. ამასთან არ აღმოჩნდა არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო, არც ერთი ჩამორჩენილი მშენებლობა. ამ დღეებში კი ახალგაზრდობის საერთო საძალაქო მიტინგმა მიიღო გადაწყვეტილება: თვითეული ახალგაზრდა მუშა მეათე ხუთწლედში პირად დავალებას ოთხ წელიწადში შეასრულებს. ხოლო უფროსი თაობაც, გასაგებია, არ ჩამორჩება. თვითეული ჩვენგანი მგკიცედ არის დარწმუნებული: რაც პარტიამ დასახა, შესრულდება! ამას მოვახსნართ მთელ ჩვენს ძალებს, მთელ გამოცდილებას, მთელ შთაგონებას“.

ფართო ნაკადად მოდის მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან გამოხმაურებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მუშაობის დამთავრებაზე. სხვადასხვა მმართველების პრესის ორგანოები აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთიანობასა და შეკავშირებას, მის მტკიცე გადწყვეტილებას — განახორციელოს იდეები და წინადადებები, რომლებიც ყრილობაზე ჩამოაყალიბა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, საბჭოთა კომუნისტების ფორუმის გადაწყვეტილებანი.

სოციალისტური ქვეყნების გაზეთებმა გამოაქვეყნეს დაწვრილებითი ანგარიშები სკკპ XXV ყრილობის მუშაობის დასკვნითი დღის შესახებ დიდი სათაურებით: „ლენინური კურსით კომუნიზმისაკენ“ („ნოიეს დოიჩლანდი“), „ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი“, „საიმედო კომპასი“ („რუდე პრავო“), „ჩვენი დიადი საქმის ახალი გამარჯვებებისაკენ“, „შეკავშირება და ოპტიმიზმი“ („რაბოტნიჩესკო დელო“), „კომუნიზმისა და მშვიდობის გზით“ („ბერლინერ ცეიტუნგი“), „დიდი ისტორიული მოვლენა“ („უნენი“).

სარედაქციო და მოწინავე სტატიებში გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ყრილობამ ცხადყო თანმიმდევრულობა საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკისა, რომელიც მიმართულია მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ. ფართოდ აქვეყნებენ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ყრილობის დახურვისას წარმოთქმულ სიტყვას. უცხოეთის პრესის ამ გამოხმაურებას მკითხველი სამივე დღის ნომრებში ნახავს.

როგორც 8 მარტს გაზეთი იუწყება, მალე ჩვენს აეროდრომებზე გამოჩნდება ახალი საჰაერო გოლიათი — აერობუსი ილ-86, რომელიც ერთ გადაყვანაზე სამჯერ მეტ მგზავრს გადაიყვანს, ვიდრე თვითმფრინავი ილ-18.

1975 წლის კოსმოსური ხიდდოები

ავიაციის საერთაშორისო ფედერაციამ 1975 წლის საუკეთესო ნაშუშევრად კოსმოსში ცნო კოსმოსური ხომალდების „სოიუზისა“ და „პოლონეზის“ ერთობლივი ფრენა და ორბიტული სადგურის „სალუტ-4“-ბორტზე საბჭოთა კოსმონავტების ექსპედიცია.

როგორც სსრ კავშირის ავიაციის სპორტის ფედერაციის სპორტული კომისარი ი. გ. ბორისენკო გვაცნობებს, ფედერაციის ასტრონავტიკური კომისიის უკანასკნელ სხდომაზე დამტკიცდა მსოფლიო რეკორდები, რომლებიც დაფიქსირებულია საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტების ერთობლივი ფრენის დროს, აგრეთვე გადაეცათ ფედერაციის თავეარი ჭილდოები. ოქროს მედალი „კოსმოსი“ მიენიჭათ ხომალდის მეთაურებს ა. ლეონოვსა და თ. სტაფორდს, ი. ა. გაგარინის სახელობის ოქროს მედალი — ეკიპაჟის წევრებს ვ. კუბასოვს, დ. სლეიტონს, ვ. ბრანდს. ორი ქვეყნის კოსმოსური ხომალდების ისტორიაში პირველი ერთობლივი ფრენის უშუალო ხელმძღვანელობის, მომზადებისა და მოწყობისა მონაწილეობისათვის საერთაშორისო საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდნენ ტექნიკური დირექტორები საბჭოთა კავშირისა და ამერიკის მხრივ — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კ. ბუშუევი და დოქტორი ჯ. ლანი. ფედერაციის ასტრონავტიკული კომისიის ყველა წევრმა გამოთქვა სურვილი კვლავ გაგრძელდეს კოსმოსში საერთაშორისო თანამშრომლობა მშვიდობისა და პროგრესის ინტერესებისათვის.

ფედერაციის ერთ-ერთი მთავარი ჭილდო — ვ. მ. კომაროვის საერთაშორისო დიპლომი მიენიჭა ორბიტული სადგურის „სალუტ-4“ მეორე ეკიპაჟს პ. კლიმუკს და ვ. სევასტიანოვს 63 დღის კოსმოსური ფრენის პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის.

(საკდესის კორ.).

მკითხველები გვწერენ

ბაქოელ კოლეგებთან

ფოთელი მეზღვაურები ტრადიციულ სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი რიგის, ედანოვის, ბაქოს, ბათუმის და სოხუმის თანამოსაქმეებთან.

ამასწინათ ფოთის საზღვაო ნავსადგურის მრრმელელთა დელეგაცია სტუმრად იყო აზერბაიჯანელ კოლეგებთან. მათ დაათვალიერეს ქალაქი ბაქო, გაეცნენ ბაქოს ნავსადგურის საწარმოთა მიღწევებს, შეაჯამეს სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. შეჯიბრებაში გაიმარჯვა ფოთის ნავსადგურის პირველი საწარმოო რაიონის № 4-ბი ბრიგადამ.

საზეიმო შეკრებაზე გამარჯვებულს გარდამავალი ციმპალი და სპატიო სიგელი გადაეცა.

კ. კომახიძე.

თაობათა შეხვედრა

ბათუმი. რევოლუციის მუზეუმში ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბმა და პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ შეხვედრა მოუწყეს ვეტერან კომუნისტებს, კომკავშირელებსა და შრომის გმირებს.

სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების ვეტერანებმა ი. იუდინმა და კ. პლოტნიკოვმა დამსწრეთ მოუთხრეს ომის სხვადასხვა ეპიზოდები. პოეტმა ნ. მალაზონიამ ლექსი წაიკითხა, ხოლო მოსწავლეებმა უფროსებს თავიანთი საქმიანობა გააცნეს და ლიტერატურული მონტაჟი წარმოადგინეს.

ნ. ბოგრბილაძე.

თემატური საღამო

ტყიბული. შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში მოეწყო თემატური საღამო. მოხსენება თემაზე: „საბჭოთა მილიციელი — პარტიის საქმისათვის მედგარი მებრძოლი“ — წაიკითხა მილიციის კაპიტანმა მ. კუბლაშვილმა. მსმენელებს წინაშე საინტერესო მოგონებებით გამოვიდა შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების ვეტერანი მუშაკი, პენსიონერი ხ. კვაბაძე.

ი. შარაბიძე.

მკითხველთა კონფერენცია

საჩხერე. რაიონის ბიბლიოთეკამ ქალის სასოფლო კულტურის სახლში მოაწყო მკითხველთა კონფერენცია. მოხსენებები რაიონში პირუტყვის სულადობის მომრავლებისა და მის პროდუქტიულობის გადიდებაზე წაიკითხეს რაიონის მთავარმა ზოოტექნიკოსმა დ. კურცხალიამ და ქალის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. იაკობაშვილმა.

ა. კაპანაძე.

ათეისტური თემაზე

ხელვაჩაური. მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე ახალსოფლის სასოფლო კლუბში მოეწყო ათეისტური საღამო. მოხსენებები წაიკითხეს საშუალო სკოლასთან შექმნილი იდეოლოგიური ჯგუფის წარმომადგენლებმა: ნ. კუსალეიშვილმა, ხ. თურმანიძემ, ტ. ირემაძემ და დ. შალიკაძემ.

უ. ბერაია.

ამოფდიის ხმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამიმდევრული, უცვლელი კურსი

ყრილობამ დაამტკიცა, რომ უცვლელია ხაბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკა, ხაზგასმით აღნიშნეს თავიანთ მასალებში მსოფლიოს უდიდესმა საინფორმაციო საგენტოებმა სკკპ XXV ყრილობის დამთავრების შესახებ. ის ფაქტი, რომ ლ. ი. ბრეჟნევი კვლავ აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად, მიაჩნიათ იმის დადასტურებად, რომ XXIV ყრილობის მიერ გამოცხადებულ და XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით განმტკიცებულ და განვითარებულ კურსს კვლავ განაგრძობენ.

მომმზისელთა აზრით, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლი, „საბჭოთა პოლიტიკაში არ არის მოსალოდნელი რაიმე ცვლილებანი, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა განაგრძობს საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების პოლიტიკას, ამასთან განაგრძობს ბრძოლას იდეოლოგიის დარგში“.

საგენტოებმა დაწვრილებით გადასცეს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შინაარსი ყრილობის დახურვის დროს, განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი მის სიტყვებს იმის შესახებ, რომ XXV ყრილობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობებს შორის „განსაკუთრებულ, განუმეორებელ ადგილს“ დაიკავებს.

საგენტოები იუწყებიან, რომ საბჭოთა კავშირის სახელით ლ. ი. ბრეჟნევმა აღუთქვა კომუნისტებს, მუშებს, ყველა ქვეყანაში ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის მებრძოლებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტები და მთელი ხალხი კვლავაც იქნებიან თავიანთი ინტერნაციონალური ამოცანების სიმაღლეზე.

ბევრ კომენტარში გამოთქმულია რწმენა, რომ ყრილობის ყველა გეგმა და წინასწარდასახულობა განხორციელდება.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა. აზასიათებს რა ყრილობის მუშაობის შედეგებს, ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „რუდე პრავო“ წერს: დელეგატთა შეხედულებების სრული ერთიანობა საკითხებზე, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ განიხილა, — საბჭოთა კომუნისტების ფორუმის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია. ამ ერთიანობას საფუძვლად უდევს ღრმა, ანალიზური შეხედულება მთელი პარტიის — უმაღლესი ორგანოებისა თუ პირველადი ორგანიზაციების მუშაობაზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ იმ იდეური და პოლიტიკური შეკავშირების გამოხატულება, რომლითაც პარტია შეეგება თავის XXV ყრილობას, არის ის, რომ დელეგატებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება. ეს უდავოდ ასეა.

გულგარეთი

სოფია. ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ცოლა დრაგოჩევამ განაცხადა: სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება XXV ყრილობისადმი, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა — ეს თვალსაჩინო დოკუმენტია — მისი შინაარსი ეშმარიტად გლობალურია, მის მიერ დასახული პერსპექტივები გრანდიოზული, მაგრამ რეალური და მეცნიერულად დასაბუთებული. მასში შერწყმულია სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა, გაქანება და მშვიდობისმოყვარეობა, შემართება და კეთილშობილება — კომუნისტური იდეალის მკაფიო თვისებები.

უნგრეთი

ბუდაპეშტი. უნგრული გაზეთი „მადიარ ნემეთი“ აღნიშნავს, რომ სკკპ XXV ყრილობამ საბჭოთა კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხებსა და მთელ საერთაშორისო საზოგადოებრიობას გადაუშალა მომავლის სურათი. ეს არის მშვიდობის პოლიტიკის თანმიმდევრული და მტკიცე ხორცშესხმა, დინამიკური და შეწონასწორებული ეკონომიური განვითარება, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავება, ხალხის ინიციატივის სრული გამოვლინება“.

ჩშ

ნიუ-იორკი. ამერიკის ბევრი გაზეთი მიესალმება ყრილობაზე მკაფიოდ გამოხატულ საბჭოთა კავშირის მისწრაფებას — განაგრძოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკა. გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი“ ხაზს უსვამს: „ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში დაადასტურა დაძაბულობის შენელების პოლიტიკა შეერთებული შტატების მიმართ, ამასთან აღნიშნა, რომ ამ პოლიტიკამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ახალი მსოფლიო ომის საშიშროების შემცირებაში“. საბჭოთა პარტიულმა ხელმძღვანელმა აგრეთვე განაცხადა, რომ „კარგი პერსპექტივაა მომავალში ამერიკის შეერთებულ შტატებთან კეთილი ურთიერთობისათვის“.

გაზეთი „ალბანეზე პრესი“ მოუწოდებს ვაშინგტონს ასეთივე პოლიტიკით უპასუხოს მოსკოვს, რადგან ეს არის „ერთადერთი ჯანსაღი გზისა სარაკეტო-ატომური იარაღის ეპოქაში“. ამერიკის საგარეო პოლიტიკის მიზნები, აცხადება გაზეთი, ის უნდა იყოს რომ, თავი აარიდოს საბჭოთა კავშირთან კონფრონტაციასა და ომს, აგრეთვე გაჭრობის განვითარებაში, შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ შეთანხმებათა მიღწევაში.

ინგლისი

ლონდონი. სკკპ XXV ყრილობა, უთუოდ, ობიექტურად ომის შემდგომი პერიოდის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენაა, წერს დღეს ლეიბორისტული ყოველკვირეული „ტრიბუნი“. იგი ხაზს უსვამს, ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში დადასტურებულია, რომ საბჭოთა კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განახორციელოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შემდგომი განმტკიცებისა და დასავლეთის ქვეყნებთან ეკონომიურ, მეცნიერულ და კულტურულ დარგებში თანამშრომლობის გაფართოების პოლიტიკა. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ლაპარაკიც ზედმეტია, რომ იგი დაუბრუნდება „ცივ ომს“, ამაყოფილებით აღნიშნავს ყოველკვირეული.

გფრ

ბონი. გერმანელთა მშვიდობის კავშირის დირექტორატი სპეციალურ განცხადებაში აღნიშნავს: ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შემდგომი განმტკიცების წინადადებანი, რომლებიც ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა და მოიწონა სკკპ XXV ყრილობამ, შეეხსაბამება არა მარტო საბჭოთა, არამედ სხვა ხალხების, მათ შორის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის მოსახლეობის, ინტერესებს.

გაზეთი „ნოიე რაინ-ციტუნგი“ აღნიშნავს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოხსენებაში მოცემულ წინადადებას საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის მსოფლიო ხელშეკრულების დადების თაობაზე. ეს წინადადება, წერს გაზეთი, იყენებს მთელი რიგი ორმხრივი ხელშეკრულებების, კერძოდ, ბონსა და მოსკოვს შორის დადებული ხელშეკრულების შედეგად შეძენილ დადებითს გამოცდილებას და ეძყარეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რომელიც ავალებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოს, მათ შორის წამოჭრილი დავა მშვიდობიანი საშუალებებით მოაგვარონ.

იაპონია

ტოკიო. იაპონიის გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კომუნისტების უმაღლესი დონის ფორუმზე მთავარი ყურადღება დაეთმო ფანამდროვეობის დიდმნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფის პრობლემები, სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნების თანამშრომლობის განვითარება, სსრ კავშირში შემდგომი ეკონომიური მშენებლობის გეგმები. გაზეთი „სანკეი სიმბუნი“ მკითხველებს მოაგონებს, რომ საბჭოთა კავშირმა წამოაყენა წინადადებანი ევროპაში შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ ამ რეგიონში ვითარების სტაბილიზაციის მიზნით.

არგენტინა

ბუენოს-აირესი. არგენტინის გაზეთი „პრენსა“ განმარტავს რა სკკპ XV ყრილობის შედეგებს, აღნიშნავს, რომ სსრ კავშირს ჯერ არასდროს არ ჰქონია ისეთი მძლავრი ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, როგორც ახლა. ყრილობის დელეგატთა წინაშე გამოსვლისას ლ. ი. ბრეჟნევის გულდაჯერებული კილო გამოხატავს, რომ საბჭოთა კავშირს მტკიცედ სწამს საკუთარი ძალებისა. გაზეთი ყურადღებას მიაპყრობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პრინციპულობასა და პირდაპირობას, რომელმაც გულახდილად ილაპარაკა არსებულ სიძნელეებზე და გააკრიტიკა ნაკლოვანებანი მუშაობაში.

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საადგილი და უცხოეთის პრესის საგენტოები იტყობინებიან

ფრანგ კომუნისტთა განცხადება

პარიზი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს ამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია საფრანგეთის კომპარტიის წარმომადგენი 7 მარტს გამართულ საკანონო არჩევნების პირველ ტურში.

საფრანგეთის კომპარტიამ, ნათქვამია განცხადებაში, მიიღო 2.368 ათასი ხმა, რაც კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა 22,8 პროცენტს შეადგენს. 1970 წლის არჩევნებთან შედარებით მან მიიღო 350 ათასით მეტი ხმა, მისი არჩეული კანდიდატების რიცხვი გაიზარდა, მან განმტკიცა გავლენა ბევრ კანტონში და ახლა კარგი მდგომარეობა აქვს არჩევნების მეორე ტურის წინ. საფრანგეთის კომპარტიის მომხრეთა რიცხვი იზრდება ბევრ მუშათა კანტონში, აგრეთვე სოფლის ისეთ ზონებში, როგორიცაა სამხრეთის მეღვინეობის რაიონები.

მემარცხენე ძალებმა, რომლებმაც ხმის 52 პროცენტი შეაგროვეს, მიაღწიეს მნიშვნელოვან პროგრესს, რაც ასახავს დემოკრატიული გარდაქმნებისადმი მისწრაფებას, რომელიც სულ უფრო ცხადი ხდება.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს პარტიის წევრებს, პარტიულ ორგანიზაციებს მოუწოდა ყველაფერი იღონონ, რათა მეორე ტურში ყველა დემოკრატის კანდიდატი მოუპოვონ ყველაზე მეტი ხმა.

სესია გაიხსნა

თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის

ჟენევა. (საკდესი). ერთა სასახლეში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების საკითხთა კონფერენციის (იუნკტადის) საბჭოს მეშვიდე სპეციალური სესია.

სესიის მუშაობაში მონაწილეობენ საბჭოს წევრი 68 ქვეყნის დელეგაციები, იუნკტადში შემავალი სახელმწიფოების მეთვალყურენი, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ევროპის ეკონომიური გაერთიანების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულებების, სხვადასხვა საერთაშორისო ეკონომიური ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ბულგარეთის დელეგაციის მეთაურმა ი. ანასტასოვმა სოციალისტური ქვეყნების სახელით გააკეთა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თაობირის დადებითი შედეგები ხელშემწყობ პირობებს უქმნიან ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებას მთელ მსოფლიოში, მსოფლიო ვაჭრობის ნორმალიზაციასა და გაფართოებას.

სოციალისტურმა ქვეყნებმა მოუწოდეს ყველა სახელმწიფოს აქტიურად დაუჭირონ მხარი იუნკტადის ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სამართლიანი და ხელსაყრელი საგაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას.

საბჭოთა სამხედრო სომალდების ვიზიტი ბამბოში

მიიღეთელი შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმი — საესკადრონ ნაღმოსანი და სამხედრო ტრანსპორტი კოტრ-ადმირალ ნ. ი. ია-კოვის სარდლობით 10-17 მარტს ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ეწვევა მავრიკის სახელმწიფოს დედაქალაქ პორტ-ლუის.

ადამიანის უფლებათა დასაცავად

● ამხილეს ჩილეს ხუნტის ტერორისტული მოქმედება ● თავისუფლება ლუის კორვალანს და სხვა პოლიტპატიმრებს! ● ისრაელის აგრესია საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას

ჟენევა, (საკდესი). აქ დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის 32-ე სესია. მისმა მონაწილეებმა განიხილეს ჩილეში, ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევის საკითხები, რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემები, ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები.

საკდესი

ყოველი მხრიდან

● **ბონი.** მაინის ფრანკფურტში გაიმართა დემონსტრაცია იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ უშუშევრობაა დასავლეთგერმანელ პედაგოგებს შორის. დემონსტრაციაში 2.500-ზე მეტი მასწავლებელი და მოსწავლე მონაწილეობდა. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა განათლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარემ ე. ფრისტერმა, რომელმაც მოსთხოვა ხელისუფალთ, რომ განახორციელონ სასწრაფო ღონისძიებანი განათლების დარგში არსებული კატასტროფული მდგომარეობის აღმოსაფხვრელად.

● **ნიუ-იორკი.** კიდევ ერთმა ამერიკულმა კორპორაციამ — „ჯენერალ ტელეფონ ენდ ელექტრონიკსმა“ — აღიარა 10,7 მილიონი დოლარის უკანონო და ქრთამის სახით გაცემა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. ამას წერს გაზეთი „ჰარტფორდ კურანტი“.

● **ბუენოს-აირესი.** პარაგვაის კომუნისტური პარტიამ ამხილებს, თუ როგორ ამცირებენ და აბუჩად იგდებენ პარაგვაელ პატრიოტებს, რომლებიც სტრესნერის დიქტატურამ საყრობილეში დაამწყვდია პოლიტიკური მოტივებით. აქ გავრცელებული პარაგვაის კომუნისტური პარტიის განცხადება აღნიშნავს, რომ მარტო გასული წლის დეკემბრიდან პარაგვაიში დააპატიმრეს 75 ქალი, რომლებიც ცნობილი ნრიან თავიანთი პროგრესული შეხედულებებით. მათ შორის არიან ფეხმძიმე და მოხუცი ქალები.

პარაგვაის კომპარტია მოუწოდებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის პროგრესულ ორგანიზაციებს ფართოდ გაშალონ პარაგვაელ პოლიტპატიმარ ქალებთან ხოლიდარობის კამპანია.

ბოკალად

სესიაში მონაწილეობდნენ კომისიის წევრი 32 ქვეყნის დელეგაციები, 24 ქვეყნის მეთვალყურენი, 30 საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის იუნესკოს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები.

უპირველესი მნიშვნელობა მიენიჭა სესიაზე მისი დღის წესრიგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის — ადამიანის უფლებების პატივისცემის შემდგომი წახალისებისა და განვითარების — განხილვას. ამ საკითხზე კომისიის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ჩაწერილია საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილი დებულება თვითეულის იმ უფლების შესახებ, რომ იცხოვროს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების პირობებში.

რეზოლუციაში დადებითად არის შეფასებული ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტი.

გამოსვლებსა და კომისიის დოკუმენტებში წარმოდგენილია მასალები, რომლებიც ამხილებენ ჩილეს ხუნტის ტერორისტულ მოქმედებას. ხმის დიდი უმრავლესობით კომისიამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მკაცრად აკრიტიკებს წამებას, მასობრივ რეპრესიებს, უკანონო დაპატიმრებას ჩილეში, მოითხოვს გამოიძინონ ხუნტის დამსჯელი ორგანოების დანაშაულებრივი საქმიანობა. კომისიის სახელით ჩილეს ხელისუფალთ გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც მოითხოვენ გაათავისუფლონ ლუის კორვალანი და სხვა დემოკრატები, რომელთა წინააღმდეგ ამზადებენ სასამართლოს.

ბრალს დებენ ნეოფაშისტებს

რომი. (საკდესი). მილანის ხელისუფლებამ გადაწყვიტეს სასამართლო პასუხისგებაში მისცენ ნეოფაშისტური პარტიის — იტალიის სოციალური მოძრაობა-ეროვნული მემარჯვენე ძალების საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელები. 47 ნეოფაშისტს ბრალად ედება ფაშისტური პარტიის აღორძინების ცდა. მსჯავრდებულთა შორის არიან ვილანელი „შავსალათიანთა“ მეთაური, იტალიის სოციალური მოძრაობა-ეროვნული მემარჯვენე ძალების პარტიის ეროვნული მდივნის მოადგილე ფრანკო სერველო, ახალგაზრდათა ფრონტის ორგანიზაციისა და ზოგიერთი სხვა მემარჯვენე ექსტრემისტული ლიდერები.

როგორც აქ გამოაცხადეს, მილანელ ექსტრემისტთა მეთაურების გასამართლება მიმდინარე წლის 6 აპრილს დაიწყება.

საარსებო მნიშვნელობის პრობლემა

მუშაობა დაამთავრა განიარაღების მსოფლიო კონფერენციის სპეციალური კომიტეტის სესიამ

ნიუ-იორკი, (საკდესი). ნიუ-იორკში მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების მსოფლიო კონფერენციის სპეციალური კომიტეტის სესიამ.

სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებმა თავიანთ სიტყვებში ძალიან შეფასება მისცეს სკკპ XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოწოდებას, რომ ყველაფერი იღონონ განიარაღების მსოფლიო კონფერენციის რაც შეიძლება მალე მოწვევისათვის.

მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა ც. პუნცაგნოროვმა, აღნიშნა, რომ ეს მოწოდება მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საბჭოთა პროგრამის შემადგენელი ნაწილია, და განაცხადა: მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელელგაცია დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტთა ყრილობის იდეები და სულისკვეთება, საბჭოთა სახელმწიფოს პრაქტიკული ღონისძიებანი მისი მშვიდობისმოყვარეული საგარეო-პოლიტიკური გეზის განსახორციელებლად, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ დაადასტურა, უდიდეს პოზიტიურ ზემოქმედებას მოახდენენ საერთაშორისო ვითარების შემდგომ გაჯანსაღებაზე, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებაზე და ხელს შეუწყობენ თანამეგობრობის საარსებო მნიშვნელობის პრობლემის — განიარაღების პრობლემის გადაწყვეტას.

განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის იდეას ზარს უქერენ განვითარებადი სახელმწიფოები.

განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევას მხარი დაუჭირეს დასავლეთის მთელი რიგი ქვეყნების, მათ შორის საფრანგეთის, იტალიისა და იაპონიის წარმომადგენლებმა.

ესპანეთი

ბრძოლა გრძელდება

მადრიდი, (საკდესი). გაფიცულ ბასკთა რიცხვმა ქვეყანაში ოთხას ათასს მიაღწია, იტყობინება ესპანეთის ეფეს ხაგენტო. პრაქტიკულად ესპანეთის ამ რაიონის ყოველი მეორე მუშა ან მოხამსახურე გაფიცულია.

საგაფიცო მოძრაობა განსაკუთრებით გაძლიერდა სამრეწველო ზონებში. მაგალითად, ბისკაიის პროვინციაში შრომითი კონფლიქტების შედეგად, რომლებშიც ას ორმოცდაათ ათასზე მეტი კაცი მონაწილეობს, გაჩერდა ყველა საწარმო. მუშები ხელფასის მომატებას მოითხოვენ. პროვინციის ზოგიერთ ქალაქში გაიმართა მასობრივი დემონსტრაციები. ბასაურში მუშები შეეტაკნენ პოლიციას, რომელიც დემონსტრაციის გარეკვას ცდილობდა. ერთი მუშა მძიმედ დაიჭრა.

გიპუსკოას პროვინციაში 130 ათასმა გაფიცულმა გამოაცხადა, მუშაობას არ დაიწყებთ, სანამ მეწარმენი ხელფასს არ მოგვიმატებენო. ალავას პროვინციაში 45 ათასი კაცი მონაწილეობს გაფიცვაში.

გაფიცვა გამოაცხადა ქალაქ ფერროლ დე კაუდილიოს „ასტანოს“ ქარხნის ხუთი ათასზე მეტმა მუშა-მოსამსახურემ.

საერთაშორისო კომენტარი

ბაზარი ნატოში

ნატოს ხელმძღვანელ წრეებში დღემდე არ დამცხრალა ვნებები უპრეცედენტო ამბის გამო: ამ მილიტარისტული ალიანსის არსებობის ოცდახუთი წლის მანძილზე მისმა მონაწილე ორმა ქვეყანამ ინგლისმა და ისლანდიამ პირველად გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა. უფრო მეტიც, ისლანდიაში იზრდება ფართო მოძრაობა ჩრდილოატლანტიკური კავშირიდან ქვეყნის გამოსვლისა და მის ტერიტორიაზე არსებული ამერიკის სამხედრო ბაზის ლიკვიდაციისათვის.

რამ გამოიწვია მოვლენათა ესოდენი დრამატული შემობ

გაბრიელ სუნდუკიანის საიუბილეოდ

ᲬᲚᲔᲣᲚᲘ მაისში აღინიშნება სომხური რეალისტური ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებლის, დიდი დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანის დაბადების 150 წლისთავი. ქართველი ხალხი ემზადება აღნიშნოს მწერლის — ჩვენი ხალხის ᲬᲘᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ მეგობრის იუბილე, რომლის შემოქმედება პოპულარულია და უყვართ რესპუბლიკაში.

ამ თარიღთან დაკავშირებით შეიქმნა საიუბილეო კომისია საქართველოს სსრ და უკრაინის სსრ სახალხო არტისტის, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის დ. ალექსიძის თავმჯდომარეობით. კომისიაში შევიდნენ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები.

გაიმართა კომისიის სხდომა, რომელზეც განიხილეს საიუბილეო ღონისძიებანი. მაისის მეორე ნახევარში თბილისში აღინიშნება მწერლის იუბილე. დიდი მიტინგი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიტერატურული და თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართება თბილისში გ. სუნდუკიანის საფლავთან.

გაერთიანებულ საიუბილეო-სამეცნიერო სესიაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს მწერალთა კავშირი, რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოება, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, გამომცემლობა „ხელოვნება“ მუზეკები, სომხეთიდან ჩამოსული სტუმრები.

იუბილეს ეძღვნება მთელი რიგი საინტერესო გამოცემანი. ქართულ ენაზე გამოვა მონოგრაფიები ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. ბუხნიკაშვილის — „გაბრიელ სუნდუკიანი და ქართული თეატრი“, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ბ. არველაძის — „გაბრიელ სუნდუკიანი და ქართული სინამდვილე“ გამოიცემა მწერლის პორტრეტი.

საქართველოს თეატრალურ მუზეუმსა და რესპუბლიკის ბიბლიოთეკებში მოეწყობა გ. სუნდუკიანის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენები, კინოთეატრებში უჩვენებენ მისი ნაწარმოებების მიხედვით გადაღებულ ფილმებს, თბილისის მაუმიანის სახელობის სომხურ თეატრში გაიმართება დიდი საიუბილეო საღამო.

ამ ზეიმის დასკვნითი აკორდი გახდება საიუბილეო სხდომა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში. თბილისისა და ერევნის თეატრების მსახიობთა მონაწილეობით უჩვენებენ სცენებს გ. სუნდუკიანის პიესებიდან (საინფორმი).

ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ...

ᲐᲫ ყოველთვის გაისმის ქალთა წკრიალა ხმები, რომლებსაც კარგად იცნობენ საქართველოს ყველა კუთხეში.

ეს არის თბილისის ავტომატური ტელეფონის სადგური, რომელიც მარტო 1976 წლის თებერვალში 500.000 კაცს მოემსახურა.

მაგრამ განსაკუთრებით დაბაღული მდგომარეობა იყო აქ სკკპ XXV ყრილობის მუშაობის დღეებში. ამ დღეებში ატს-მა უზრუნველყო ტელეფონით 60.000-ზე მეტი საუბარი, რისთვისაც ათასობით მადლობა დაიმსახურა.

8 მარტის წინადღეს, ატსის ყველა 429 მუშაკს და განსაკუთრებით 32 საუკეთესო ტელეფონისტს, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა, საკავშირო სარეკორდო ყველა ტელეგრაფისტს, რომელსაც სათავეში უდგას ალა ფერაძე, ვუსურვებთ ახალ წარმატებებსა და ბედნიერებას.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის მოწინავე ტელეფონისტები, მარცხნიდან — ჯულიეტა მაისურაძე, ეუფემია ზაქარიაშვილი, თამარ პეტრიაშვილი, პოლინა გრიგორიევა, ერნა ლომთათიძე, ვალენტინა კუტალია, ლილი გულაკიანი.

Ლ. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ტექსტი და ფოტო.

ᲡᲢᲘᲥᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲐᲛᲘᲐᲜᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲓᲐᲣᲠᲩᲐ ᲖᲜᲐᲡᲘ ᲝᲠᲘ ᲡᲘᲪᲘᲪᲚᲔᲑᲘ

ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ სათვალავი აერია — აგერ მერამდენე დღეა თოფდა და თოფდა განუწყვეტლივ. ხვესურეთის მთებში, სადაც ზამთრობით უამინდობა უცხო მოვლენა არ არის, ამდენი თოფვლი მაინც არავის ენახა — ამოიცხო დათვისის ღრმა ხვეები, წაიშალა ბილიკების კვალი.

მინდია და მისი მეუღლე მზექალა გუმანით გრძნობდნენ, რაღაც საფრთხე რომ ელოდა. ორი დღით ადრე მინდიამ ჭალამდე გაუკლია გზა თავის ქალიშვილს და დედაქალაქში გაიხტუმრა უმაღლესი სასწავლებლის მოსამზადებელ კურსებზე. კიდევ კარგი, ამ განსაცდელის ჟამს არც დანარჩენი სამი შვილი და ორი შვილიშვილი იყვნენ მათთან.

საჭირო იყო მოძრაობა, ოღონდ ფრთხილად, რათა ქვის ნაშალი კვლავ ახალი ძალით არ დაარღვიოს. ნელა დაიწყო სიბნელეში ფათური, ხელთ რკინის საწოლის ტატები მოსდა და იმით ქვა-ღორღის ჩიჩქნა დაიწყო.

— ეჰე-ეეო! — დროდადრო ყვიროდა მინდია, იქნებ ვინმემ გაიგოსო, მაგრამ მისი ხმა იქვე ნანგრევებში იკარგებოდა.

მთავარი ის იყო, რომ სულით არ დაცემულა. მთელი დღე ებრძოდა ქვასა და ღორღს. თანდათანობით მაღლა აიწია და ნანგრევის ტყვეობისაგან ცოლიც იხსნა, მაღლა აიყვანა.

იმ შორეულ სარკმელში, სადაც შუქის ვიწრო ზოლი მოიკვლევდა გზას, სინათლე ჩაქრა. ალბათ გარეთ დადამდა კიდეც, მაგრამ მინდია არ ისვენებდა. ახლა რკინის ნატეხის ნაცვლად ფიცრის ნაჭერი ეჭირა, რომელიც ნახვრევებში იპოვა...

მთელი დამე გავიდა. ცოლქმარს თვალი არ მოუსუნავთ. ბევრს ფიქრობდნენ შვილებზე, შვილიშვილებზე, უკვირდათ, რატომ აქამდე არავინ მოგვეშველაო.

მეორე დილას ისევ აკაფდა შუქი შორეულ სარკმელში (იქამდე კი ხუთი-ექვსი მეტრი თუ იყო). მინდიამ კვლავ შეუტია ღორღისა და თოვლის კედელს. იმედი ჰქონდა, თუ დავითი არა, სხვა მაინც ვინმე მოკითხავდა, მაგრამ კვლავ არავინ ჩანდა. ხანდახან დიაცს შეეხმიანებოდა, ისიც, რაც შეეძლო, ამხნევებდა. მერე ზემოთ ერთი დიდი სიბი ქვა გამორჩდა და ახლა ამას შეეჯიბრა. როგორც იქნა, ადგილიდან დაძრა და ქვა ფაფრით ბავშვი ძირს. იმ ზეთში სინათლემ იფეთქა, კინაღამ გული შეუწუხდათ.

მინდია ზვავს ზემოთ აფოფხდა და მზექალაც აიყვანა.

ორივენი გაოცებით უცქერდნენ ქვეყანას — კაცის ჭაჭანება არ ჩანდა, მაგრამ სადღაც ხომ იყვნენ ადამიანები, რომლებიც უმედურებაში მარტოდ არ დატოვებდნენ მათ...

მინდია არაბული ამას წინათ გვეწვია და ზვავიდან გადარჩენის ამბავი მოგვითხრო. ეს სურათიც მაშინ გადაუღო ფოტოკორესპონდენტმა.

Ა. ᲗᲝᲛᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲖᲕᲐᲕᲘᲡ ᲢᲧᲕᲔᲝᲑᲐᲨᲘ

ᲓᲐ ᲐᲘ ᲒᲐᲗᲔᲑᲓᲐ ᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲐ — 19 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. ᲘᲠᲘᲜᲐᲧᲐᲕᲐ თუ არა, მზექალამ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ გომურს მიაშურა. რვას რაღაც წუთები აკლდა, რომ მინდიასაც გაეღვიძა, გაახსენდა, ხელთათმანს ერთი თითი რომ მორღვეოდა და ცოლს სთხოვა, დამიკერეო, მზექალა ისევ გომურში აპირებდა გასვლას და გაჯავრებით თქვა: — დაიცა, კაცო, ხელთათმანი სადღა წაგვიაო. მაგრამ ქმარს ხათრი მაინც ვერ გაუტეხა, ნემსი მოძებნა და კემსავა დაიწყო. და სწორედ ამან გადაარჩინა — იმ წუთში გარეთ რომ გასულიყო, შენს მტერს...

ერთბაშად დაიქუხა, გაისმა საშინელი გრუხუნ-გრიალი. მინდია ახლა იგონებს: — კინაღამ გონება დაკარგე, ერთი წამით ფანჯარას გავხედე და საშინელი კორიანტელი იდგა, მაშინვე მივხვდი, უზარმაზარი ზვავი რომ წამოვიდა. მერე სიბნელე ჩამოწვა. იმ წუთში პირველი ფიქრი მეუღლის სიცოცხლე იყო. როგორც იქნა, თვალი სიბნელეს მიეჩვია, და ნახეს ერგნენ-ნაკლული მზექალა შეეშინდა, რომელიც ქვაღორღსა და ავეჯის ნამსხვრევებს მოეშველოდა. შეშინებული ძლივსღა სუნთქავდა.

სახლის ნანგრევებში ბედად გადარჩენილ ცოლქმრისათვის უკვე გასაგები იყო, რა უბედურებაც დაატყდათ თავს....

მინდია მთაში განთქმული მონადირეა და კარგად ესმოდა, რომ ასეთ შემთხვევაში დაბნევა მომაკვდინებელია, საჭიროა ცოტა ხანს ფიქრი, ფიქრი, ფიქრი, ბოლოს ერთ-ერთ ნახვრეტში ეჭირა ფანარი, ეფიქრა, ეფიქრა, ეფიქრა